საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

ბოცვრის თივთიკის მიღების წესები

(რეკომენდაცია)

თბილისი
2020

UDC უდკ 637.623 + 675.081.2
გ - 927

რეკომენდაციის ავტორი:

ჯემალ გუგუშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“.

ISBN 978-9941-8-2801-0

ბოცვრის თივთიკის მიღების წესები
(რეკომენდაცია)

თივთიკის პროდუქტიულობის გაზრდა საჭიროა წარმოებდეს თივთიკის დანაკარგების შემცირების და თივთიკის ზრდის ხარჯზე. ბოცვრის სხეულის სხვადასხვა ადგილიდან აღებული თივთიკი სხვადასხვა ხარისხისაა. განსაკუთრებით ძვირფასი თივთიკი მიიღება ზურგიდან და თეძოებიდან, ნაკლებად ძვირფასი მკერდიდან, კისრიდან, ბეჭებიდან. არ არის რეკომენდებული სხვადასხვა ხარისხის თივთიკის ერთმანეთში შერევა, რადგან ამ დროს საერთო ხარისხი კლებულობს.

თივთიკის აღების ვადებს ადგენენ მისი სიგრძისა და ბეწვის ,,სიმწიფის“ მიხედვით. რეკომენდებული არ არის თივთიკის აღება, თუ მისი სიგრძე 6 სმ-ზე ნაკლებია. ,,მწიფე“ ბეწვი კანს ადვილად სცილდება, რაც ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს ტრავმებს.

წლის ცივ (ზამთარი, შემოდგომა) პერიოდში მიზანშეწონილია თივთიკის ნაწილობრივი აღება. რათა არ დაუშვან კანის საფარველის სრული გაშიშვლება, რადგან ამას შეიძლება მოჰყვეს სხეულის გაცივება და სიკვდილი. ხოლო თბილ პერიოდში (გაზაფხული, ზაფხული) თივთიკის აღება შეიძლება მოხდეს სრულად. კანის სრული გაშიშვლება იწვევს ცხოველის მდგომარეობის გაუარესებას 2-3 დღის განმავლობაში. კანი უხეშდება, ბეწვის ზრდის ტემპი ნელდება.

სათივთიკე ბოცვრის ძირითადი პროდუქცია თივთიკია, რომელიც აბრეშუმივით ნაზია და მნიშვნელოვნად გრძელი (15 სმ-მდე).

თივთიკის პროდუქტიულობა დამოკიდებულია ბოცვრის ჯიშზე, კვებაზე, შენახვაზე და თივთიკის მოცლის ტექნიკაზე.

ზრდასრული თეთრი სათივთიკე ბოცვრის თივთიკის წლიური რაოდენობაა 350-400 გ. საუკეთესო ცხოველები კი იძლევიან 700 გ თივთიკს, ერთი ბაჭია კი - 90 - 100 გ (სამჯერ შეგროვებით).

სანაშენე მოზარდს არჩევენ ისეთი სათივთიკე ბოცვრებისაგან, რომლებსაც კარგი შებუსვა და გრძელი, არანაკლებ 6,0 სმ თივთიკის ბეწვი აქვთ.

სათივთიკე ბოცვერს აშენებენ მაშინ, როცა სურთ ცალკე მიიღონ თივთიკი, ან თივთიკი და ხორცი.

თივთიკისა და ხორცის მისაღებად იყენებენ ზრდასრულ ბოცვერს იმ ანგარიშით, რომ იძლეოდეს იმდენ მოგებას, რამდენსაც იძლევა საბეწვე ჯიშის ბოცვერი.

როდესაც უნდათ მიიღონ თივთიკი, ბოცვრებს 70% -ს არ უშვებენ დაგრილებაზე და მხოლოდ თივთიკის მისაღებად ზრდიან. დარჩენილი 30 % წელიწადში მოგებას იძლევა. მიღებული მოზარდიდან (თითოეული მოგებიდან) ნაწილს ტოვებენ გამოწუნებული და ავადმყოფი ბოცვრების შესაცვლელად, დანარჩენებიდან 2-ჯერ იღებენ თივთიკს, შებუსვის შემდეგ კი კლავენ ტყავბეწვისა და ხორცისათვის. ასეთი მეთოდით მოშენებისას სათივთიკე ბოცვრისაგან ღებულობენ მაღალხარისხოვან თივთიკს , რადგან ძირითადად პროდუქციას ღებულობენ ზრდასრული ცხოველებიდან.

ზრდასრული სათივთიკე ჯიშის ბოცვერი (მათ ყველა ფიზიოლოგიურ პერიოდში) და მოზარდი უნდა ვკვებოთ იგივე ნორმით, როგორც საბეწვე ბოცვერი.

ზრდასრულ სათივთიკე ბოცვერს გალიაში ცალ-ცალკე ინახავენ, მოზარდს კი 3-4 სულს. გალიაში ბოცვრების ჩხუბის თავიდან ასაცილებლად ისინი ერთი ასაკის, სქესის და ერთნაირი ცოცხალი მასის უნდა იყვნენ.

სათივთიკე ბოცვრის გალიებში სისუფთავეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. სინესტე (შარდი, წყალი) იწვევს თივთიკის გაყვითლებას და ხარისხის გაუარესებას.

შემოდგომით და ზამთარში (მოგებამდე 5-7 დღით ადრე აძლევენ ქვეშსაფენს ბუდის მოსაწყობად). ქვეშსაფენად იყენებენ მხოლოდ მსხვილ, სუფთა, მშრალ, უმტვერო და უფხო მარცვლოვანის ნამჯას. წვრილი და დასვრილი ნამჯის, თივის, ნახერხის, ტორფის, ხავსის და სხვა გამოყენება სათივთიკე ბოცვრისათვის გალიაში ქვეშსაფენად არ შეიძლება.

ბოცვრის თივთიკს ახასიათებს სწრაფად წამოზრდის თვისება, შემდეგ როდესაც, მიაღწევს განსაზღვრულ სიგრძეს, ადვილად იწიწკნება. არაა რეკომენდებული 6-სმ-ზე ნაკლები სიგრძის თივთიკის მოცილება. თივთიკის სიმწიფე შეიძლება განისაზღვროს ხელის მოკიდებით და მსუბუქად გაწევით. იმ შემთხვევაში, როდესაც თივთიკი მზად არის შესაგროვებლად, ბღუჯა ადვილად სცილდება სხეულს და ხელში რჩება. თივთიკის მომწიფების ხარისხზე შეიძლება ვიმსჯელოთ გარეგანი შეხედულებითაც. თუ ბოცვერი კარგად არის შებუსული, თივთიკის

ბეწვის ბოლოები ერთმანეთს ეწებება, რაც მოწმობს მისი შეგროვების დაწყების დროზე. ჩვეულებრივ, ზრდასრულ ბოცვერს თივთიკს აცლიან წელიწადში 4-6 ჯერ.

გამოცდილი მებოცვრეები ყოველთვიურად აცლიან ისეთ თივთიკს, რომელმაც დაამთავრა ზრდა და ადვილად ცილდება ტყავს. ამ მთოდის გამოყენებისას მცირდება თივთიკის შეგროვების პერიოდი, შეგროვებული თივთიკი კი შედარებით თანაბარია.

თივთიკის მოცილებისათვის ბოცვერს ფრთხილად ვარცხნიან ლითონის ან ხის სავარცხლით. ვარცხნას იწყებენ გავიდან. შემდეგ თივთიკს აცილებენ ხერხემლიდან, გვერდებიდან და ფაფრიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ თივთიკი მოვაცილოთ ფაქიზად, წინააღმდეგ შემთხვევაში კანზე ჩნდება ნაკაწრები, რომელზეც თივთიკი აღარ ამოდის.

სათივთიკე ბოცვრის გაკრეჭისათვის იყენებენ ჩვეულებრივ მაკრატელს. პირველად ბოცვერს გულმოდგინედ ვარცხნიან, ბეწვს ზურგზე შუაზე ყოფენ. შემდეგ ამ გაყოფილი ადგილიდან გვერდების ორივე მხარეს კრეჭენ თივთიკს. მაკრატლით ერთჯერადად კანთან რაც შეიძლება ახლოს. არაა რეკომენდებული ბოცვრის გაკრეჭა ან თივთიკის მოცილება წლის ცივ თვეებში, რათა ცხოველი არ გაცივდეს. ასევე არ შეიძლება თივთიკის შეგროვება მაკე და მაწოვარი ბოცვრისაგან.

პირველად თივთიკის მოცილებას აწარმოებენ 2,0-2,5 თვის ასაკში. ამ დროს აგროვებენ 15-20 გ. თივთიკს, მეორედ 4-4,5 თვის ასაკში აგროვებენ 25-30 გ თივთიკს; მესამედ 6 თვის ასაკში 35-40 გ თივთიკს. შემდეგ თივთიკს აცილებენ ყოველთვიურად ისევე, როგორც მოზრდილ ბოცვერს.

თივთიკის ხარისხი განისაზღვრება მისი სიგრძის, აგრეთვე თივთიკისა და ძირითადი ბეწვის სიგრძის შეფარდებით. ამის მიხედვით თივთიკი იყოფა შემდეგ ხარისხებად:

ექსტრა - სუფთა, თეთრი, სხვა მინარევის გარეშე, ბეწვის სიგრძე არანაკლებ 60 მმ;

პირველი ხარისხის - ბეწვის სიგრძე 45-დან 59 მმ-დე;

მეორე ხარისხის - ბეწვის სიგრძე 30-დან 44 მმ-მდე;

მესამე ხარისხის - ბეწვის სიგრძე 11-დან 29 მმ-მდე; ამავე ხარისხს მიეკუთვნება სახორცე-საბეწვე ჯიშის ბოცვრის თივთიკი- ბეწვი არანაკლებ 11 მმ სიგრძის.

უხარისხო - სუფთა, ბეწვის სიგრძე 11 მმ-ზე ნაკლები, დანაგვიანება 10-30 % საერთო მასიდან (დაზიანებული ჩრჩილის, მღრღნელების და სხვათა მიერ).

სათივთიკე ბოცვრის თივთიკის ბეწვის რაოდენობა 90-96% -ია თივთიკის ნაკლებად ითვლება ხვეულება, რაც ამცირებს მისგან ნაწარმოები ქსოვილის სიმტკიცეს.

თივთიკი რომ არ მოითელოს, მას ინახავენ ფანერის კედლებიან და სახურავიან მაგარძირიან ყუთში. ყუთის ზომები შეიძლება იყოს: სიგრძე - 80 სმ: სიგანე და სიმაღლე 50-50 სმ. ასეთი ყუთის ძირზე ყოველ 15 სმ-ზე ჭადრაკულად დგამენ 1,0 - 1,5 სმ დიამეტრისა და 25-30 სმ სიმაღლის ვერტიკალურ ჯოხებს. ჩრჩილისაგან თივთიკის დაცვის მიზნით ყუთის კედელზე კიდებენ ნაფტალინიან პარკებს.